

**პოლიფუნქციური -დ- ქართულში
და უღვლილების
მორფოსინტაქსური მოდელები
POLYFUNCTIONAL -D- IN GEORGIAN AND
MORPHOSYNTACTIC MODELS
OF CONJUGATION**

ცირა ბარამიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Tsira Baramidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

We discuss the morphological and syntactic bases for polyfunctionality of marker -d- in the process of changing the model of Georgian verb conjugation, based on the premise that Georgian, like all Ibero-Caucasian languages, was the language of the class conjugation. The d- > *d- morphological marker is used in those languages where the grammatical class is a valid category and in those languages where the grammatical category of the class has already disappeared, the meaning of d and its use with a different function are frequent. There are few cases of expressing the valence of a subject with the suffix -d; for the most part, the direct object is conveyed by the suffixes -n / -d. Thus, in this new but infinite part of conjugation, the suffixes -n / -d convey not only S3 but also the valence of the subject if the verb is intransitive and the valence of the object if the verb is transitive. -d was also used as the passive voice marker. The -d- used in the marking of the passive voice is nothing but the reinterpretation of the archaic *d (grammatical class marker) in the new system, where it can only denote the valence of the subject. As for the active voice, the special marker of which does not exist in the verb, d- is considered to be a marker in active verbs, and the meaning of this term is not fully clear.

-d that occurs in the Georgian verb conjugation system is the reinterpretation of the archaic *d (the historical marker of the grammatical class). The principle of the economy of markers has proven to be particularly productive in the process of changing the conjugation models in the Georgian language.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, პოლიფუნქციური -დ-, უღვლილება, მორფოსინტაქსური მოდელი.

Keywords: Georgian Language, polyfunctional -d, conjugation, morphosyntactic models.

განვიხილავთ ქართული ენის ზმნის უღვლილების მოდელის ცვლის პროცესში -დ- მარკერის პოლიფუნქციურობის მორფოლოგიურ და სინტაქსურ საფუძვლებს. ამოვდივართ მოსაზრებიდან, რომ ქართული ზმნა თავდაპირველად არ განარჩევდა პირებს, ანუ, პიროვანი უღვლილება მეორეულია (არნ. ჩიქობავა). ქართული, ისევე, როგორც ყველა იბერიულ-კავკასიური ენა, იყო კლასოვანი უღვლილების ენა. ზმნა იუღვლებოდა კლასების (ადამიანისა და ნივთის კლასების) მიხედვით. სინქრონიულ დონეზე ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში კლასოვანი უღვლილების კვალი ძნელად იკითხება.

უძველესი ზმნური კატეგორიებია: გრამატიკული კლასი, ლაბილურობა-სტაბილურობა, სტატიკა-დინამიკა, ტრანზიტიულობა-ინტრანზიტიულობა. ეს კატეგორიები გადაჯაჭვულია ერგატიულობის მორფოსინტაქსურ კონსტრუქციასთან. ამიტომაც უღვლილების მოდელი ქართულში უნდა ყოფილიყო ისეთი, როგორც ეს კლასოვანი უღვლილების ენისთვისაა დამახასიათებელი: ტრანზიტიული ზმნისთვის – ობიექტური უღვლილებისა, ხოლო ინტრანზიტიული ზმნებისთვის – სუბიექტური უღვლილებისა. ამგვარ უღვლილებაში სუბიექტიცა და ობიექტიც ერთი და იმავე ნიშნითაა წარმოდგენილი. კლასოვანი უღვლილების მოშლა იბერიულ-კავკასიურ ენათა გავრცელების თვალსაზრისით პერიფერიულ ენებში (აფხაზურ-ადიღურ, ქართველურ, ლეზგიურ...) გამოწვეულია სხვა ენათა კონტაქტებითა და ასევე იბერიულ-კავკასიურ ენათა ბუნებრივი ცვლის მიზეზებით. უღვლილების გარდამავალი საფეხური (კლასოვან-პიროვანი) ამ ენათაგან რამდენიმე ენაშია დღეს წარმოდგენილი (თაბასარანული ენის ჩრდ. დიალექტი, აფხაზური ენა...), გვაქვს პიროვანი უღვლილება ადიღურში, უდიურში, ქართულ-ქართველურ ენებში, რაც მეორეულია და უღვლილების მოდელის ცვლამ დატოვა კვალი მარკერების სისტემისა და უღვლილების მოდელების მიხედვით. კლასოვანი უღვლილების მოდელის დროს ასახულია ობიექტის ვალენტობა (ტრანზიტიულ ზმნაში) და სუბიექტის ვალენტობა (ინტრანზიტიულ ზმნაში); ორივე ვალენტობა ერთდროულად (S და O) არ აისახება. კლასოვან-პიროვან უღვლილებაში კლასის მარკერებს პირი ემატებათ. ქართულის პიროვანი უღვლილება მეორეული პიროვანი უღვლილებაა და არა იმ რიგისა, როგორცაა პიროვანი უღვლილება, მაგალითად, ინდო-ევროპულ ან თურქულ ენებში. აქ პიროვანი უღვლილება არ არის სხვა (კლასოვანი) უღვლილების ცვლის შედეგი. ახალი ქართული ენის ზმნის უღვლილება მდიდარი და ნაირფეროვანია. ქართულ ზმნას შეუძლია საგანგებო თავსართ-ბოლოსართით აღნიშნოს: მოქმედი და სამოქმედო პირები და მათი რიცხვი, ვერსიები, კაუზატივი, გვარი (მოქმედებითი და ვნებითი), ასპექტი, კილო... იბერიულ-კავკასიურ ენებში ხშირად დასტურდება ერთი და იმავე მორფოლოგიური მარკერის პოლიფუნქციურობა. ასეთ შემთხვევაში მორფოლოგიური ნიშნის ფუნქციას განარჩევს ან ადგილი სიტყვაში, ან ზმნის კონსტრუქცია და ვალენტობა, ან სხვა...

დ-ს პოლიფუნქციურობას ადასტურებს სხვადასხვა მკვლევრის მიერ **დ-** გრამატიკული კლასის ნიშნის წარმომავლობისა და ფუნქციათა შესახებ გამოთქმული მოსაზრებები. აღსანიშნავია, რომ **დ- > *დ-**; მორფოლოგიური

ნიშანი -დ- გამოიყენება იმ ენებში, სადაც გრამატიკული კლასი მოქმედი კატეგორიაა და იმ ენებშიც, სადაც კლასის გრამატიკული კატეგორია უკვე გამქრალია, -დ-ს მნიშვნელობა და განსხვავებული ფუნქციით გამოიყენება კი -ხშირი. მაგალითად, უბიხურმა ენამ -დ- ორნაირად გამოიყენა: 1. -დ- (-დე, -დი-) კაუზატივის ნიშანია, როცა კაუზატორი მხ. რიცხვშია; 2. -დ- უბიხურ ზმნაში მიმართებითი ფორმის ნიშანია. ამით უბიხური ერთდროულად უპირისპირდება აფხაზურსა და ჩერქეზულს, მაგრამ უბიხური დ(ა)- ნიშანი თითქმის განუყოფელია აფხაზური გონიერთა კლასის კითხვითი -და „ვინ?“ ნიშნისაგან (დიუმეზილი 2015: 47-48). ჩერქეზულში გამოიყენება -დე- თანაობის აღსანიშნავად. ჩერქეზულსა და უბიხურში -დ-ს ორნაირი გამოყენება, ასევე აფხაზურში კითხვით ფორმაში გამოყენება, რა თქმა უნდა, განსხვავებულია, მაგრამ მათ აქვთ საერთო ის, რომ სამივე ენაში ზმნაში გამოხატავენ პირთა ურთიერთმიმართებას: უბიხურში 1. „(შენ, ის ...), ვისაც გხედავ“, 2. „მე (შენ, მას...) გაიძულე და ნახვას; ჩერქეზულში – „მე ვხედავ (შენთან, მასთან...) ერთად“; აფხაზურში – „ვინ (მე, შენ...) მხედავს?“ აფხაზურში -დ- < *დ-სგან, მაგრამ მისი ფუნქცია შეკვეცილია – ის ზმნაში გამოხატავს მხ. რიცხვის III პირში პირველი ნიშნის პოზიციის მხოლოდ „გონიერებს“ სქესის განურჩევლად. დარგულსა და ლაკურში -დ- მხ. რიცხვის პირველი ორი პირის ნაცვალსახელში პრეფიქსადაა დართული, ხუნძურსა და ბოთლიხურში -დ- პრეფიქსია III პირში; ჩეჩნურში -დ- ზმნის აწმყო დროში ჩნდება I და II კლასში მრ. რიცხვის I და II პირში საპირისპიროდ მრ. რიცხვის III პირისა... დი-/დუ- გამოიყენებულია III პირის ნაცვალსახელების ანლაუტში... ამგვარად, არქაული, საერთო იბერიულ-კავკასიური *დ-, ამოსავალი მნიშვნელობით გრამატიკული კლასის ნიშანი, ფართოდაა წარმოდგენილი სახელსა და ზმნაში და განსაკუთრებით პოლიფუნქციურია მისი გამოყენება ზმნის უღვლილებაში.

ძველ ქართულ ენაში მოქმედებითი გვარის ზმნებში I სერიის ოთხ მწკრივში (ექვსი მწკრივიდან) გამოიყენებულია ე.წ. სავრცობი -დ- (იშვიათად – -ოდ): უწყვეტელში, პირველ ბრძანებითში, უწყვეტლის ხოლმეობითსა და პირველ კავშირებითში. საგულისხმოა, რომ -დ-ს გამოყენების დროს უწყვეტელსა და პირველ ბრძანებითს მწკრივის ნიშანი არა აქვს. ძველი ქართულის უღვლილების მოდელი უკვე დასრულებული ჩანს კლასოვანი უღვლილებიდან პიროვანი უღვლილების მოდელზე გადასვლის თვალსაზრისით იმგვარად, რომ გრამატიკული კლასის გაგება სრულიად დაჩრდილულია, მაგრამ შემონახულია იბერიულ-კავკასიურ, ერგატიულ, ენათათვის დამახასიათებელი ამოსავალი მორფოსინტაქსური მოდელი – ობიექტური უღვლილება სუბიექტური უღვლილების პარალელურად; პირდაპირი ობიექტის – რეციპიენტის – ვალენტობის მარკირება ქართული ენის ზმნაში ხდება პირის ნიშნით, რაც არის ტრანზიტიული ზმნის ობიექტური უღვლილების მოდელი კლასოვანი უღვლილების ზმნაში (შდრ. ხუნძ. ბ-ექანა „გავტეხე, გატეხე, გატეხა“ – პირის გაურჩევლად, განარჩევს ბ- ნიშნით ობიექტს, რომელიც განეკუთვნება ნივთის კლასს...).

საყურადღებოა ის, რომ S₃ პირის ნიშნად -დ / -ედ ბოლოსართები გამოიყენებულია ძვ. ქართულის გარკვეულ პერიოდში -ნ ბოლოსართთან ერთად. მხოლოდობით-მრავლობითის ნ- -ედ წყვილი (V-X სს.) ძეგლებში

ძირითადად გამოყენებულია აწმყოს ხოლმეობითა და წართქმით ბრძანებითი (I ბრძანებითა და II ბრძანებითი). ამათგან აწმყოს ხოლმეობითი ამ სუფიქსების მიხედვით სხვა ხოლმეობითებისაგან განცალკევებით დგას. ყველა დანარჩენი ხოლმეობითი იყენებს ს - ან დაბოლოებას. ეს არის ნორმა ძველი ქართულისათვის. ყურადღებას იპყრობს ის, რომ აწმყოს ხოლმეობითისა და ბრძანებითის S_3 პირის -ნ და -ედ თითქოს ამოვარდნილია იმ სისტემიდან, რომელიც V-X სს. სალიტერატურო ენაში მოქმედებს. მათ კავშირს სხვა სისტემასთან, რომელიც გადმონაშთის სახით გვხვდება ძველი ქართულის წერილობით ძეგლებში, აღნიშნავს მკვლევარი ლ. ბარამიძე (2003: 34). -ნ და -ედ ამ განსხვავებულ სისტემაში ძირითადად ხოლმეობითებში (აგრეთვე ბრძანებითებში) გამოიყენება. ამ პერიოდის ქართულში S_3 პირის ნიშნად მხოლოდ რიცხვში -ნ-ს გვერდით იშვიათად გვხვდება -დ სუფიქსიც. ვფიქრობ, რომ ეს არის სწორედ უფრო ძველი უღვლილების სისტემის კვალი, სუსტად გამოხატული, რადგან -დ სუფიქსს მრავლობით რიცხვში მეწყვილე არა აქვს წარმოდგენილი. გამოთქვამდნენ ვარაუდს, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო -ედ სუფიქსი (იმნაიშვილი... 1996), მაგრამ მხოლოდითა და მრავლობითში წყვილის პრინციპს თუ გავითვალისწინებთ, არ გვხვდება ერთი და იგივე თანხმოვანი. დ, ნ, ედ სუფიქსების შესახებ არსებული ლიტერატურა თავმოყრილია და განხილული ზ. სარჯველაძის ნაშრომში (სარჯველაძე 1984: 394-407); ასევე ამ საკითხს განიხილავს ა. არაბული (1980). დ- სუფიქსი S_3 პირის მხოლოდით რიცხვში გამოყენებულია:

1. სტატკური ვნებითის აწმყოში: ჰთნიე-დ, უფლიე-დ, ზეუმტკმე-დ და სხვა (40-მდე მაგალითია);
2. I ბრძანებითი: იტყოდე-დ, ითქუმოდე-დ, იქმნებოდე-დ (იგი);
3. I კავშირებითი: ემაგალითებოდე-დ (იგი).
4. II ბრძანებითი: ჭამე-დ, გამოიდე-დ, შეკერბი-დ, თქუ-დ (მან იგი).
5. II კავშირებითი: ღმერთი არა დადუმნე-დ, განჯდე-დ (სულ 2 მაგალითია).
6. I თურმეობითი: აღუპყრიე-დ (ხორცი), ზეაღუპყრიე-დ (სამოსელი), ქუე წარუგდებიე-დ (კილიკი) და სხვა.

განვიხილოთ -დ S_3 პირის აღმნიშვნელად მიჩნეული (ა. შანიძე, დ. გეწაძე, ვ. თოფურია, ი. აბულაძე, ზ. სარჯველაძე, ლ. ბარამიძე) სუფიქსის მორფოლოგიური ეკვივალენტის -ნ სუფიქსის გამოყენების შემთხვევები ძველ ქართულში. S_3 პირის ნიშანი -ნ -ედ-თან ერთად თითქოს ამოვარდნილია იმ სისტემიდან, რომელიც მოქმედებს V-X სს. სალიტერატურო ქართულში. მიჩნეულია, რომ მას კავშირი უნდა ჰქონდეს სხვა სისტემასთან (ბარამიძე 2003: 34), სხვა დიალექტთან. -ნ გამოიყენება აწმყოს ხოლმეობითა და წართქმით ბრძანებითში. ის გვხვდება ასევე სხვა მწკრივებშიც:

1. II ხოლმეობითში: მოიდი-ნ, დაშრტი-ნ და ითქვი-ნ, იყვი-ნ ...
2. I თურმეობითი: განმიბნევიე-ნ...
3. შეგირაცხიე-ნ, უხილაგ-ნ, შეუპყრიე-ნ (იგი) და სხვა.

ლ. ბარამიძე მიიჩნევს, რომ მოყვანილ შემთხვევებში -ნ ბოლოსართი შეესატყვისება სახელის მხოლოდით რიცხვს: შეუპყრიე-ნ (გული), უხილაგ-ნ (ხატი), წარუწყმედიე-ნ (სირცხვილი) და სხვა. -ნ სუფიქსს გამოყოფს აწმყოსა და I თურმეობითში ზ. სარჯველაძე მრავლობითის ფორმებშიც,

რომლებიც ფორმით არ განსხვავდება მხოლოებითის -ნ სუფიქსიანი ფორმებისაგან. მაგალითად, აწმყო: უპყრიენ (საყდარნი), გიპყრიენ (ყოველნი); I თურმეობითი: წარუმართებიენ (ათასეულნი), შეურაცხიენ (თავნი), დამიწერიენ (იგინი). ლ. ბარამიძე მიიჩნევს, რომ მრავლობით რიცხვში შესაძლოა შემონახული იყოს არა -ნ, არამედ -ენ ბოლოსართი: შემირაცხი-ენ მე იგინი. -ენ დაბოლოება აწმყოს მიხედვით მოსალოდნელი იყო I თურმეობითშიც, მაგრამ არ დასტურდება. ის მხოლოებითი რიცხვის -ნ ბოლოსართიან ფორმებს ემთხვევა.

ვფიქრობ, V-X სს. სალიტერატურო ქართულში ჯერ კიდევ მოქმედებს ობიექტის ვალენტობის ასახვის ისეთი მოდელი, რომელიც იყო საერთო, ამოსავალი მოდელი იბერიულ-კავკასიურ ენათათვის და უღვლილების სისტემა ჯერ კიდევ არ არის „თავისუფალი“ კლასოვანი უღვლილების სისტემისაგან, არ არის დასრულებული კლასოვანიდან პიროვან უღვლილებაზე გადასვლის პროცესი. -ნ სუფიქსი, ისევე, როგორც -დ სუფიქსი, უნდა ასახავდეს არა მხოლოდ სუბიექტის ვალენტობას ისტორიული გრამატიკული კლასის ნიშნით, არამედ ობიექტისაც. უღვლილების ახალ სისტემაში ეს ნიშნები განიცდიან რეინტერპრეტაციას. უკვე ახალ სისტემაში ორივე შემთხვევაში გამოყენებულია ერთი და იგივე ნიშანი, კერძოდ, ინტრანზიტიულ ზმნაში -ნ / -დ ასახავს სუბიექტის ვალენტობას, ხოლო ტრანზიტიულ ზმნაში – ობიექტისას (როგორც ეს არის დღემდე ჩრდილოკავკასიურ ენებში). -ნ / -დ სუფიქსებით სუბიექტის ვალენტობის გამოხატვის შემთხვევები ცოტაა (ღმერთი არა დადუმნე-დ, განხდე-დ); უმეტესწილად -ნ / -დ სუფიქსებით გადმოიცემა პირდაპირი ობიექტი (ქუე წარუგდებიე-დ (კილიკი), შეუპყრიე-ნ (გული), უხილაგ-ნ (ხატი)). ამგვარად, უღვლილების ამ ახალ, მაგრამ დაუსრულებელ პარადიგმაში -ნ / -დ სუფიქსებით გადმოიცემა არა მხოლოდ S₃, არამედ სუბიექტის ვალენტობა, თუ ზმნა ინტრანზიტიულია და ობიექტის ვალენტობა, თუ ზმნა ტრანზიტიულია. პირის კატეგორია ზმნაში და პიროვანი უღვლილება ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია.

განვიხილოთ -ედ სუფიქსი, რომელიც მრავლობითის ბოლოსართია და ნორმის სახით გვხვდება აწმყოს ხოლმეობითსა და ბრძანებითში. ლ. ბარამიძე აღნიშნავს, რომ გადმონაშთის სახით -ედ სუფიქსი შემონახულია კიდევ რამდენიმე მწკრივში:

1. უწყვეტლის ხოლმეობითი: ზრუნვიდი-ედ, ეტყოდი-ედ, ხუმილვიდი-ედ, სცვიდი-ედ;
2. II ხოლმეობითი: მივიდი-ედ, დასხდი-ედ, დაშური-ედ და სხვ.
3. II კავშირებითი: რომელნი ველსა იყვნ-ედ; რაფთა... ნუგეშინის-ცემულ იქმნ-ედ;
4. I თურმეობითი: უქმნი-ედ, მიუვლინები-ედ, შეუსხმ-ედ და სხვ. სულ დამოწმებულია ექვსი მაგალითი. მათ შორისაა „მოუცუმანედ“, რომელსაც „ჰიპერურბანულს“ უწოდებს ზ. სარჯველაძე და აღნიშნავს, რომ ის მეორეულია. მკვლევარი -დ, -ნ, -ედ სუფიქსებიანი თავისებური ფორმების შესახებ ამბობს, რომ ყველა ერთნაირად არ შეიძლება შეფასდეს – ზოგს აქვს ენობრივი საფუძველი (მაგ., ხოლმეობითებში), ზოგი მცდარია, ნაწილი კიდევ გვიანდელი უნდა იყოს (სარჯველაძე 1984: 402-403).

ამგვარად, **-დ** გამოყენებული იყო ძველ ქართულში აწმყოსა და I თურმეობითში, აგრეთვე ბრძანებითებსა და კავშირებითებში. **-ნ** გამოიყენებოდა აწმყოს ხოლმეობითსა და I თურმეობითში (ხოლმეობითის მნიშვნელობით), ბრძანებითებსა და II ხოლმეობითში. **-ედ** გვხვდება აწმყოს ხოლმეობითსა და I თურმეობითში (ხოლმეობითის მნიშვნელობით), უწყვეტლის ხოლმეობითსა და II ხოლმეობითში (აგრეთვე II კავშირებითში, სულ 2 მაგალითია დადასტურებული ტექსტების მიხედვით). ლ. ბარამიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ **-დ**, **-ნ**, **-ედ** ნიშნები პარალელურ სისტემას ქმნიდნენ ძველი ქართულისათვის ძირითად სისტემასთან:

1. აწმყოსა და I თურმეობითში ა) ძირითადია: **ს – ენ (ან)**,
ბ) დამატებითია: **ნ(დ) – ედ**
2. უწყვეტლის ხოლმეობითში, II ხოლმეობითში, შერეულ ხოლმეობითსა და III ხოლმეობითში ა) ძირითადია: **ს – ან**,
ბ) დამატებითია: **ნ – ედ**
3. ბრძანებითებში ა) ძირითადია: **ნ – ედ**
ბ) დამატებითია: **დ – (?)**
4. კავშირებითში ა) ძირითადია: **ს – ნ**
ბ) დამატებითია: **დ – ედ (?)** (ბარამიძე 2003: 39).

მკვლევრებს მიაჩნდათ, რომ ზემოჩამოთვლილი მარკერები წარმოადგენდნენ სხვადასხვა სისტემას; მიიჩნევდნენ, რომ ძველი ქართულის პარალელური სისტემა, შესაძლოა, მართლაც დიალექტური წარმოშობისა იყოს (ვ. თოფურია, ბ. ფოჩხუა, ზ. სარჯველამე). ლ. ბარამიძე მიიჩნევს, რომ ამ პარალელური სისტემიდან უნდა იყოს ნასესხები **-ნ** და **-ედ** აწმყოს ხოლმეობითსა და ბრძანებითებში. იქვე დასძენს, რომ შესაძლებელია, ძირითად სისტემაში ბრძანებითებს არც ჰქონდათ საგანგებო პირის ნიშნები, რადგანაც ბრძანებითი ისედაც გამორჩეულია ინტონაციით, რაც ახალ ქართულში მათი გამოკვეთის საშუალებაა (იქვე).

ავტორების მიერ დასახელებული პარალელური სისტემები არ უნდა ნიშნავდეს, რომ ისინი იყვნენ დამატებითი სისტემები, ისინი თანაარსებობდნენ დროსა და სივრცეში სალიტერატურო ენის იმ სისტემასთან, რომელიც ასევე დიასისტემა იყო თავისთავად და გარკვეული ექსტრალინგვისტური ფაქტორებით იქცა ძველი ქართული სალიტერატურო ენის ფუძედიალექტად. ენის ისტორიის თვალსაზრისით ასევე საინტერესოა სწორედ ამ ე.წ. პარალელური სისტემების მონაცემთა გათვალისწინება. **-დ**, **-ნ**, **-ედ** სუფიქსების შემცველი დადასტურებული იშვიათი ფორმები, მართალია, ქმნიან „დამატებით“ ფორმებს სალიტერატურო ენაში (რომელიც თავისთავად ასევე დიალექტია), მაგრამ მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ისინი უკეთ შემოინახავენ ძველ სალიტერატურო ქართულში უძველილების მოდელის ცვლისა და ახალი მოდელის ჩამოყალიბების ისტორიას.

ჩვენი დაკვირვებით, **-დ** სუფიქსის შემცველ დადასტურებულ ფორმებში ეს სუფიქსი მიემართება არა მარტო მესამე პირის სუბიექტს და ასახავს მის ვალენტობას (სტატიკური ზმნები), არამედ უმეტეს შემთხვევაში ის პირდაპირი ობიექტის აღნიშვნას უნდა წარმოადგენდეს. ეს არის კიდევ ამოსავალი მარკირების სისტემა იბერიულ-კავკასიურ ენათა უძველილების

სისტემაში, სადაც ინტრანზიტიულ ზმნაში აისახება სუბიექტის ვალენტობა კლასით, ხოლო ტრანზიტიულ ზმნაში აისახება იმავე მარკერით პირდაპირი ობიექტი. აღსანიშნავია, რომ ზმნაში -დ ნიშნით მარკირებულია მხოლოდ ნომინატივში მდგარი აქტანტი. არ დასტურდება შემთხვევა, როცა -დ მიემართება ერგატივში მდგარ აქტანტს (*კლასს, პირს). -დ-ს შემცველი ზმნური ფორმები, რომლებიც იშვიათია, ადასტურებს სწორედ იმას, რომ ძველ ქართულში მოქმედებს ენის ეკონომიზმის პრინციპი და ხდება მანამდე არსებულ მარკერთა გადააზრიანება ახალი სისტემისათვის, რომელიც ყალიბდება როგორც პიროვანი სისტემა და შორდება იბერიულ-კავკასიური ენების ამოსავალ უღვლილების სისტემას (შდრ. დ-ქუ-ა > თქუა მან იგი – დ აღნიშნავდა პირდაპირ ობიექტს, დ-ე-გ იგი – დ აღნიშნავდა სუბიექტს).

ნიშანდობლივია -დ-ს გამოყენება აწმყოში სუბიექტის ვალენტობის აღსანიშნავად სწორედ სტატიკურ ზმნებში (ჰთნიე-დ, უფლიე-დ, ზეუმტკმიე-დ); არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ სტატიკური ზმნა იმ ფორმაციისაა, როცა ზმნაში გვარები არ განირჩეოდა. დინამიკური ზმნა კი შეიძლება იყოს მოქმედებითი გვარისა (ზრდის, უზრდის... თესავს, უთესავს... აძლიერებს, უძლიერებს...) და ვნებითი გვარისა (იზრდება, ითესება, ძლიერდება... ეზრდება, ეთესება, უძლიერდება...). უძველესია ქართული ენის ისტორიაში ასევე ლაბილურობა-სტაბილურობის კატეგორია (აღიყვანა მან იგი, აღიყვანა იგი). უღვლილების ამგვარი მოდელი დღემდე დამახასიათებელია ჩრდილოკავკასიური ენებისთვის, იქაც, სადაც კარგადაა შენარჩუნებული გრამატიკული კლასი და იქაც, სადაც გრამატიკულმა კლასმა ცვალებადობა განიცადა (ადიღური, უდიური...). კლასოვანი უღვლილების მოდელის მოშლამ დატოვა კვალი არა მარტო მარკერთა რეინტერპრეტაციის სახით, არამედ ობიექტური უღვლილების შენარჩუნებითაც ქართულსა და იმ ენებში, სადაც პიროვანი უღვლილება მეორეულია (ადიღური, უდიური...). ამგვარად, არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი ქართული ენის განვითარების ახალ ეტაპზე -დ ნიშნის რეინტერპრეტაცია გვარის ნიშნად. არსებობდა პოლიფუნქციური მარკერი -დ თავიდანვე, გვარის კატეგორია კი არ არსებობდა და ის ჩამოყალიბდა შედარებით გვიან სხვა უფრო ძირძველ კატეგორიათა მოშლის შედეგად ახალი სისტემური წონასწორობისათვის; სემანტიკური საფუძველი იყო აქტივისა და პასივის გარჩევა. -დ გამოყენებულ იქნა აგრეთვე ვნებითი გვარის ნიშნად. თუ გავითვალისწინებთ, რომ გვარის კატეგორია ქართულში მეორეულია (ის დღესაც არა აქვს ჩრდილოკავკასიურ ენებს), უდავო ჩანს, რომ ვნებითი გვარის მარკირებაში გამოყენებული -დ- სხვა არაფერია, თუ არა არქაული *დ- ს (გრამატიკული კლასის ნიშნის) რეინტერპრეტაცია ახალ სისტემაში, სადაც ის მხოლოდ სუბიექტის ვალენტობას შეიძლება აღნიშნავდეს; ერთვალენტოვანი ზმნაში ხომ მხოლოდ სუბიექტის ვალენტობაა ასახული: ტყ-დ-ებ-ა – გა-ტყ-დ-ა, ღამ-დ-ებ-ა – და-ღამ-დ-ა... რაც შეეხება მოქმედებით გვარს, რომლის ნიშანი ზმნაში არ არსებობს, მოქმედებითი გვარის ზმნებში დ- სავრცობადაა მიჩნეული და მთლად ნათელი არ არის – რას გულისხმობს ეს განსაზღვრება (სავრცობი), ხოლო ვნებითი გვარის ზმნებში დ- ვნებითის ნიშანია (ძირითადად, ნასახელარ ზმნებში, რაც კიდევ

ერთხელ ადასტურებს მის მეორეულობას; გვაქვს ასევე ზმნური სემანტიკის ძირებში და კიდევ სამიხეობა ასეთი შემთხვევები). **დ**-ს მარკირება მოქმედებითი გვარის გარდამავალ ზმნაში როგორც ე.წ. სავრცობი და გარდაუვალი ვნებითი გვარის ზმნაში, როგორც ვნებითი გვარის ნიშანი, გარჩეულია ადგილითაც (ა-კეთ-ებ-დ-ა, კეთ-დ-ებ-ა – მოსდევს თემის ნიშანს მოქმედებითში, ვნებითში კი თემის ნიშნის წინ დგას ფუძის შემდეგ).

გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში წარმოდგენილი **-დ** არის არქაული ***დ**-ს (ისტორიული გრამატიკული კლასის ნიშანი) რეინტერპრეტაცია, იმგვარად, რომ შენარჩუნებულია იბერიულ-კავკასიურ ენათა კლასოვანი უღვლილების მოდელისათვის დამახასიათებელი პრინციპი (თაბ. იზუ დ-ის-ნუ-ზა ბაჟ „მე დავიჭირე ბიჭი“, ბაჟ უ-დ-უჭვნუ „ბიჭი წავიდა“).

მარკერთა ეკონომიზმის პრინციპი ქართულ ენაში განსაკუთრებით პროდუქტიული აღმოჩნდა უღვლილების მოდელის ცვლის პროცესში, რისი დასტურიცაა **დ**-ს პოლიფუნქციურობა ქართულში.

დამოწმებული ლიტერატურა

არაბული 1980: არაბული ა., სპორადულად გამოვლენილ III პირის -ნ/-დ, -ენ/-ედ სუფიქსთა ფუნქციისათვის ძველ ქართულში. ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან. თბილისი, 1980.

ბარამიძე 2003: ბარამიძე ლ., სუბიექტურ მესამე პირის ნიშანთა განაწილებისათვის ძველ ქართულში. თბილისი, 2003.

დიუმეზილი 2015: დიუმეზილი ჟ., შესავალი ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებით გრამატიკაში. თბილისი, 2015.

თოფურია 1942: თოფურია ვ., ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, №5, 1942.

იმნაიშვილი... 1996: იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ., ზმნა ძველ ქართულში. ნაწილი I, მაინის ფრანკფურტი, 1996.

სარჯველაძე 1984: სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. თბილისი, 1984.

ჩიქობავა 1998: ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება. თბილისი, 1998.